



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080171369311419

№ 2280

13 / მაისი / 2019 წ.

**შპს „კმსს“-ის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** ააიპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“;

**ტენდერის ნომერი:** NAT190002957;

**შესყიდვის ობიექტი:** 33700000– პირადი ჰიგიენის საშუალებები;

**მიმწოდებელი:** შპს „კმსს“ (ს/ნ: 443121667);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 10 აპრილს წარმოდგენილ იქნა ააიპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის“ 2019 წლის 10 აპრილის №01-17/117 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №3966), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „კმსს“-ის (ს/ნ: 443121667) მიერ NAT190002957 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 27 თებერვლის №026 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [spskmss@gmail.com](mailto:spskmss@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 15 აპრილის № 1494 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2019 წლის 17 აპრილს წარმოადგინა №04/19-01 განმარტება (რეგისტრაციის №4237) მის მიერ NAT190002957 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 27 თებერვლის № 026 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა, ხოლო, მოგვიანებით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი ვერ ახერხებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 1 167,6 ლარის ოდენობით.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

მიმწოდებლის წერილობითი განმარტების თანახმად, მისაწოდებელი საქონელი უნდა ყოფილიყო საკმაოდ დეტალურად განწერილი პარამეტრების შესაბამისი, რის გამოც მიმწოდებელმა ვერ შეძლო ვალდებულებების შესრულება. ამასთან, მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ფასი გათვლილი იყო სტანდარტული პარამეტრების მქონე საქონელზე, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა არასტანდარტული პარამეტრების საქონელი, მას ასევე უნდა მოეთხოვა საქონლის ნიმუშიც, რაც არ განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუმცა მას განემარტა, რომ ხელშეკრულების დადებამ უარის თქმა ასევე გამოიწვევდა მის შავ სიაში დარეგისტრირებას, რის გამოც მიმწოდებელი იძულებული გახდა გაეფორმებინა ხელშეკრულება. ამასთან მიმწოდებელმა გადაიხადა მასზე დაკისრებული პირგასამტეხლოც. დასახელებული ფაქტების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა ითხოვა, რომ იგი არ დარეგისტრირდეს შავ სიაში.

#### **4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2019 წლის 11 თებერვალს ააიპ „ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა“ გამოაცხადა NAT190002957 ელექტრონული ტენდერი პირადი ჰიგიენის საშუალებების (CPV33700000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 თებერვლის № 03-1 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კმსს“ (ს/ნ: 443121667) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 27 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა № 026 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 13 900 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 1 ივნისი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 7 მარტის ელექტრონული შეტყობინებით, მიმწოდებელს ეთხოვა 1 000 ცალი ქალაქის ხელსახოცისა და 2 000 ცალი ტუალეტის ქალაქის მიწოდება 2019 წლის 15 მარტის ჩათვლით.

4.5. მიმწოდებლის 2019 წლის 15 მარტის ელექტრონული შეტყობინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელს შეექმნა პრობლემები და ვერ ახერხებდა მოთხოვნილი პროდუქციის დროულად მიწოდებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ვალდებულებების შესასრულებლად ეთხოვა 15 სამუშაო დღის განსაზღვრა.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 18 მარტის ელექტრონული შეტყობინებით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ 2019 წლის 15 მარტიდან მას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრებოდა პირგასამტეხლო. ამასთან, მიმწოდებელს ეთხოვა ვალდებულებების დროულად შესრულება.

4.7. მიმწოდებლის 2019 წლის 1 აპრილის ელექტრონული შეტყობინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მიმწოდებელი ვერ ახერხებდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რის გამოც შემსყიდველ ორგანიზაციას ეთხოვა ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვეტა.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების განყოფილების უფროსის 2019 წლის 4 აპრილის № 01-20/926 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების შეწყვეტა და მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 8 აპრილის № 34 ბრძანებით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 1 167,6 ლარის ოდენობით, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 3 აპრილის № 01-17/111 წერილით.

4.10. 2019 წლის 16 აპრილის საგადახდო დავალების შესაბამისად, მიმწოდებელმა გადაიხადა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო მასზე დაკისრებული პირგასამტეხლო.

### **სამოტივაციო ნაწილი**

#### **5. შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „კმსს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

#### **6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

#### **7. სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეკრების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაზრდა, ხოლო, მოგვიანებით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი ვერ ახერხებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ მისანოდებელი საქონლის პარამეტრები მიმწოდებლისათვის ცნობილი იყო ტენდერში მონაწილეობის მიღებამდეც. შესაბამისად, მას წინასწარ უნდა გაეთვალა რამდენად შეძლებდა ვალდებულებების შესრულებას და ამის შემდეგ მიეღო ტენდერში მონაწილეობა და გაეფორმებინა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა ვერ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. შესაბამისად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შპს „კმსს“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „კმსს“ (ს/ნ: 443121667) 2019 წლის 14 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

